ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტი: სოფიო ებილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი: მარტყოფის მონასტრის ისტორია VI-XVIII სს.*

(ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)

ნაშრომი შესრულებულია შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ჯოჯუა

თბილისი 2025

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ებილაშვილი

21/12/2025

# აბსტრაქტი

## აბსტრაქტის წესი ქართულ ენაზე

ნაშრომში განხილულია მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტრის ისტორია VI-XVIII საუკუნეებში. მონასტერი დაარსებული იყო ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის - ანტონ მარტომყოფელის მიერ და წარმოადგენდა შუა საუკუნეების მძლავრ სასულიერო და საგანმანათლებლო  კერას.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროები: ნარატიული თხზულებები, ისტორიული დოკუმენტები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, ჰიმნოგრაფიული ტექსტები და სხვ., რომლებიც არც თუ ისე მრავლად მოგვეპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილობითი წყაროები მაინცადამაინც დიდი ინფორმატიულობით არ გამოირჩევა, შევეცადე, მათი განხილვის შედეგებზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად, სრული სახით აღმედგინა მარტყოფის მონასტრის გაბმული ისტორია დაარსებიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე.

ნაშრომში, მარტყოფის მონასტრის ისტორიის განხილვის გარდა, მოკლედ არის მიმოხილული ასურელ მამათა ვინაობასთან, ქართლში მოსვლა-დამკვიდრების დროსა და განსახლების გეოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე, ზოგადად, ასურელი მამებისა და ,კონკრეტულად, ანტონ მარტომყოფელის დიდი წვლილი საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში.

ნაშრომში წარმოდგენილია ჩემს მიერ ჩატარებული სავალე კვლევის შედეგებიც, კერძოდ, მარტყოფის მონასტრის ხუროთმოძღვრული ძეგლების მოკლე აღწერილობა და დახასიათება, აგრეთვე, ინფორმაცია მონასტერში ამჟამად მოღვაწე მონაზონთა რაოდენობის, მათი ყოველდღიური საქმიანობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

# Abstract

## Abstract in English

The paper examines the history of the Monastery of the Ghvtaeba of Martkopi from the 6th to the 18th centuries. The monastery was founded by one of the Thirteen Assyrian Fathers, Anton Martkopeli, and represented a powerful religious and educational center in the medieval period.

The paper analyzes various types of written sources, including narrative texts, historical documents, epigraphic monuments, hagiographic works, hymnographic texts, and others, which have survived in relatively limited numbers. Although these written sources are not particularly rich in information, based on the results of their analysis, an attempt has been made to reconstruct, as fully as possible, the continuous history of the Monastery of Martkopi from its foundation to the end of the 18th century.

In addition to discussing the history of the Monastery of Martkopi, the paper briefly reviews issues related to the identity of the Assyrian Fathers, the time of their arrival and settlement in Kartli, and the geography of their settlement. It also addresses, in general, the significant contribution of the Assyrian Fathers, and in particular Anton Martkopeli, to the strengthening of Christianity in Georgia.

The paper also presents the results of field research conducted by the author, specifically a brief description and characterization of the architectural monuments of the Monastery of Martkopi, as well as information on the current number of monks residing in the monastery, their daily activities, and their way of life.

# მადლობა

მსურს, მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, აგრეთვე, ყველა ლექტორს, მათ მიერ გაწეული შრომისათვის, რათა მოეცათ ჩემთვის ცოდნა კონკრეტული მიმართულებით. მსურს განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ თეიმურაზ ჯოჯუას ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.